ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 88-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ხათუნა სამნიძის 2016 წლის ანგარიშს.

№10/17619 28.10.16წ.

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება

ფურცლის რაოდენობა 6 ფურცელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ხათუნა სამნიძის

2016 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

2016 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 სხდომა. საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა 75 დადგენილება და 341 განკარგულება.

მონაწილეობის მიღება ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის მუშაობაში. შესწავლილი საკითხები:

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ"
- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32/127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/6855, 04/7185)
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"
- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32/127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (#04/11111)
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გაიოზ თალაკვაძის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხი (საკრებულოს №04/12550 06.07.2016 - მერიის №7/175382 06.07.2016)
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიას შორის "თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით", პროექტის განსახორციელებლად სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის საკითხი (საკრებულოს №04/12549 06.07.2016 - მერიის №7/175536 06.07.2016)
- „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის „თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით" გასაფორმებელი თანხის გადაცემის ხელშეკრულების

ფარგლებში გრანტის მიღების თაობაზე, თანხმობის მიცემის საკითხი. (საკრებულოს №04/12688 07.07.2016 - მერიის №9/177405 07.07.2016)

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (# 04/14139)
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის უფროსის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხი

მონაწილეობის მიღება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის კომისიის მუშაობაში. შესწავლილი/განხილული საკითხები:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს №06/22042 (07.12.15 წ.) წერილით წარმოდგენილი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული „ნარჩენების მართვის სტრატეგიის (2016-2030 წწ.)“ და „სამოქმედო გეგმის (2016-2020 წწ.)“ პროექტები;
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „თბილისის პარკების“, შპს „უძრავი ქონება - თბილისის“ და შპს „თბილსერვის ჯგუფის“ რეორგანიზაციასთან (შერწყმასთან) დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (8 პროექტი).
4. მოქალაქე ეკა გულუას 2016 წლის 22 მარტის №5496 განცხადება მარშალ გელოვანის გამზირზე ავეჯის სახლის მიმდებარედ (ნაკვეთი: №6/3) მიმდინარე მშენებლობის თაობაზე.

5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სოფლების: ძველი ვეძისი, დიდგორი და თელოვანი ტერიტორიაზე მგლისა და ტურის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების შესახებ უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტოს შორის 2016 წლის 23 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე.

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

ფრაქცია „რესპუბლიკელების“ მიერ ინიცირებული საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „რესპუბლიკელების“ 11 სხდომა. შესწავლილი საკითხები:

- მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის ნინო სულხანიშვილის ანგარიშის მოსმენა.

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების ანალიზი.
- გამწვანებული ტერიტორიების მოვლა პატრონობისა და დასასვენებელი ადგილების მოვლა-პატრონობის წესში ცვლილებების შესახებ მსჯელობა.

- სამუშაო შეხვედრა ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ თემურ თორდინავასა და მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროს ბადრი გიორგაძესთან.

სააგენტოსა და აუდიტის სამსახურის მიერ ბაღებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებისა და ბაღის დირექტორების დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხებზე მსჯელობა.

- შეხვედრა თბილისის ბაგა-ბაღების გათავისუფლებულ დირექტორებთან.

- ველოსადგომების მოწყობის ინიცირების საკითხი
- რეგლამენტში შესატანი ცვლილებები
- სპორტის სასახლის მიმდებარე სკვერის თემა

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია:

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „რესპუბლიკელები" მიმდინარე წლის მანძილზე ახორციელებდა მოქალაქეებთან შეხვედრებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოში მათ მიღებას, წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით გასაუბრებას და კონსულტაციებს.

მოქალაქეთა განცხადებებთან მიმართებით, ფრაქცია სხვადასხვა შუამდგომლობებით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოებს, თვითმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებსა და სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია:

- ✓ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;
- ✓ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურები;
- ✓ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები;
- ✓ საქართველოს პარლამენტის განათლების, კულტურის და მეცნიერების კომიტეტი.

საკრებულოს წევრი ხათუნა სამნიძე